

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი



თანამედროვე მშენებლობის პრობლემატიკა საქართველოში

გიორგი გიორხელიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების ფინანსების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თემურ მაისურაძე
პროფესორი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
თბილისი, 0178, საქართველოს
2020

საავტორო უფლება © 2020 წელი, გიორგი გიორხელიძე

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტი

„ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებთ, რომ გავეცანით გიორგი გიორხელიძის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: „თანამედროვე მშენებლობის პრობლემატიკა საქართველოში“ და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტის კომისიაში მის განხილვას ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“

თარიღი ___/___/___

ხელმძღვანელი: თემურ მაისურაძე

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

2020

ავტორი: გიორგი გიორხელიძე

დასახელება: „თანამედროვე მშენებლობის პრობლემატიკა საქართველოში“

ფაკულტეტი : ბიზნესისა და ინჟინერიის

ხარისხი: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი

სხდომა ჩატარდა:

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა -----

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

სამაგისტრო ნაშრომის „თანამედროვე მშენებლობის პრობლემატიკა საქართველოში“ სტრუქტურა შემდეგი სახითაა წარმოდგენილი: ნაშრომის შესავალში განსაზღვრულია საკვლევი თემის საგანი, განვითარების ისტორია და ეტაპები, აქტუალობა, კვლევის მიზანი, დასახულია ამოცანები, მიმართულებები.

ნაშრომის პირველ თავში „რეფორმები სამშენებლო კომპანიებში“ განხილულია 10 სამშენებლო კომპანიის მაგალითი და ნაბიჯები შრომის უსაფრთხოების დაცვის განხორციელებაში.

მეორე თავში - სატრენინგო კომპანიები, განვიხილავთ ქვეყანაში არსებულ კომპანიებს შრომის უსაფრთხოების მენეჯერების გადამზადებას და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას.

სამაგისტრო ნაშრომის მესამე თავში - „პრობლემების აღმოფხვრის გზები“ სამშენებლო კომპანიებთან კონსულტაციის შემდეგ განვიხილეთ პრობლემების აღმოფხვრის ჩვენეული ვერსია და იდეალური კომპანიების მაგალითები.

სამაგისტრო ნაშრომის მეოთხე თავში განხილულია შრომის უსაფრთხოების მაკონტროლებელი ორგანიზაციები და მათი მიღწევები.

სამაგისტრო ნაშრომის მეხუთე თავში განხილულია შრომის უსაფრთხოებაში არსებული გადაუჭრელი პრობლემები.

სამაგისტრო ნაშრომის მეექვსე თავში განხილულია კანონის ცვლილების ფინანსური ანალიზი.

სამაგისტრო ნაშრომი შედგება რეზიუმის, შესავლის, 4 ძირითადი თემისა და დასკვნისგან. თან ახლავს გამოყენებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფია.

Abstract

The structure of the Master's Thesis „Issues of Modern Construction in Georgia“ is presented as follows: Introductory part of this work determines the research topic, development history and stages, actuality, research aims, set goals and directions.

In the first chapter of this work, “Reforms in Constructing Companies” discusses examples of 10 constructing companies' and steps taken towards labor safety.

The second chapter – training companies, examines retraining of labor safety managers in existing Georgian companies and compliance with the law.

In the third chapter of the Master's Thesis – “Ways to resolve issues” portrays our view on eliminating problems and best practice, after discussion with various constructing companies.

The fourth chapter of this Master's Thesis discusses labor safety controlling organizations and their achievements.

The Master's Thesis consists of resume, introduction, 4 main topics and conclusion. Additionally, it is accompanied bibliography of used literature.

სარჩევი

შესავალი	1
თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა.....	6
1.1 მშენებლობის ფინანსური უზრუნველყოფის პრობლემები საქართველოში.. Error! Bookmark not defined.	
1.2 შრომის უსაფრთხოება და ფინანსური ანალიზი	10
1.3 რეფორმები სამშენებლო კომპანიებში	14
1.4 სატრენინგო პროგრამები.....	50
1.5 პრობლემების აღმოფხვრის გზები.....	59
1.6 შრომის უსაფრთხოების მაკონტროლებელი ორგანიზაციები.....	65
თავი 2. კვლევის მეთოდოლოგია.....	71
თავი 3. შედეგები და მათი განსჯა	72
დასკვნა და რეკომენდაციები.....	76
გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი/ბიბლიოგრაფია.....	78

შესავალი

საკითხის აქტუალობა: მშენებლობის სექტორი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე აქტიური სფეროა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა მოთხოვნა ამ სფეროში. თუმცა, ეს დარგი არა მხოლოდ ბოლო ათწლეულის არამედ ერთ-ერთი უძველესი დარგია. ადამიანმა ათასწლეულების მანძილზე ისწავლა მრავალნაირი შენობების-საცხოვრებელი სახლების, ტაძრების, ციხე-სიმაგრეების, შემდეგ კი-ქარხნების, ფაბრიკების, შახტების, გზატკეცილებისა და რკინიგზების აშენება.

ჩვენს ქვეყანაში მშენებლობას ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. საბჭოთა კავშირის დაშლის წინა პერიოდში მშენებლობის ინდუსტრია ძალზედ განვითარებული იყო. მაგალითად 1990-1991 წწ. 2332 ათასი კვადრატული მეტრი ფართის საცხოვრებელი სახლი იქნა ექსპლუატაციაში გადაცემული. 1992-1993 წლიდან 1998 წლამდე მშენებლობის ზრდის ტემპმა საგრძნობლად იკლო. რაც გამოწვეული იყო, ერთის მხრივ საბჭოთა კავშირის სახელმწიფოს დაშლით, მეორე მხრივ ერთი ეკონომიკური სისტემიდან მეორეზე გადასვლით. ამ პერიოდში იწყება საერთოდ ეკონომიკის ყველა დარგის დაქვეითება. ამას ემატება საომარი მოქმედებები ჯერ სამაჩაბლოში, შემდეგ აფხაზეთში. 1991 წლის ბოლოდან იწყება სამოქალაქო ომი. რასაც მოჰყვა თბილისის ცენტრალური უბნების ნგრევა და ქაოსი. კუპონი, ფულადი ერთეული რომელიც მაშინ იქნა შემოღებული სწრაფად გაუფასურდა. ქვეყანაში ძირითადად რუსული რუბლი და აშშ დოლარი მოქმედებდა. სხვადასხვა მაქინაციების შედეგად მოსახლეობის ანაზრები მთლიანად დაიკარგა, რამაც მათი სრული გალატაკება გამოიწვია. ასეთ პირობებში ყოველგვარი მშენებლობა, ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ჩათვლით შეწყდა.

1998 წლიდან დაიწყო მშენებლობის ხელახალი აღორძინება. ქვეყანა დაადგა ეკონომიკის ფორმირების გზას და ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპობრივად საქართველოში განვითარდა და აღორძინდა სამშენებლო ბიზნესი. 2003 წლიდან საქართველოში მშენებლობის ბუმი დაიწყო. 2004-2008 წლებში საქართველოს სამშენებლო სექტორი ხუთჯერ გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგიური თვალსაზრისით მშენებლობა წინ წავიდა და განვითარდა, სამწუხაროდ პრობლემები ისევ არის, დახვეწისა და ჩამოყალიბების ეტაპებს გადის სამშენებლო კანონმდებლობა, მშენებლობის ნებართვის აღების წესი, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი კანონმდებლობა და ა. შ. დღევანდელ ნაშრომში გვინდა ვისაუბროთ შრომის უსაფრთხოების პრობლემატიკაზე თანამედროვე მშენებლობაში.

2014-2017 წლებში სამშენებლო სექტორი საქართველოს ეკონომიკის ყველაზე სწრაფად მზარდი დარგი იყო. იზრდებოდა, როგორც კერძო დანიშნულების მშენებლობების ფართობი, ისე სახელმწიფოს ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების მოცულობა. 2018 წლის ივლისში პარლამენტმა მიიღო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ავტორობით შემუშავებული „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი, რამაც გამოიწვია მშენებლობის სექტორის შემცირება.

სამუშაო ადგილზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა, საქართველოში წლების მანძილზე უდიდეს გამოწვევად რჩება. შრომის უსაფრთხოების უფლების დარღვევის სიმწვავეს ნათლად წარმოაჩენს ბოლო წლების მანძილზე დასაქმებულთა გაფიცვების და პროტესტების ტალღა, რომელთა ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნას სამუშაო ადგილებზე უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა წარმოადგენდა. ამასთან, ოფიციალური

მონაცემებით, 2011-2016 წლებში საწარმოო შემთხვევების შედეგად სამუშაო ადგილზე დაშავდა 776 და გარდაიცვალა 270 დასაქმებული.

საკითხის აქტუალობას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ 2018 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ. ამ კანონის მიზანია იმ ძირითადი მოთხოვნებისა და პრევენციული ღონისძიებების ზოგადი პრინციპების განსაზღვრა, რომლებიც უკავშირდება სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების საკითხებს, არსებულ და მოსალოდნელ საფრთხეებს, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილებას, დასაქმებულთა სწავლებას, მათთვის ინფორმაციის მიწოდებასა და კონსულტაციის გაწევას და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში დასაქმებულთა თანაბარ მონაწილეობას.

2018 წლის დასაწყისში კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, გამკაცრდა სანქციის ოდენობა ქ. თბილისში მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევისთვის და პირი მსგავსი სამართალდარღვევისთვის 30000 ლარით ჯარიმდება, რაც დარღვევის პრევენციისთვის ეფექტური მექანიზმი აღმოჩნდა. სანქციების გამკაცრება პროპორციულად უნდა განხორციელდეს სხვა მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე, სადაც დარღვევისთვის სანქცია მხოლოდ 500 ლარს წარმოადგენს. ასევე უნდა მოხდეს სანქციების დიფერენცირება მშენებლობის ხასიათიდან გამომდინარე.

შრომის უსაფრთხოების შესახებ მიღებული კანონისა და გამკაცრებული რეგულაციების შედეგად, სამშენებლო სექტორში უსაფრთხოების ნორმების დაცვის კუთხით ვითარება შედარებით გაუმჯობესებულია. კომპანიების ნაწილმა დაიწყო ზრუნვა დასაქმებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის აუცილებელი პირობების უზრუნველყოფაზე. თუმცა, მიუხედავად ამისა დედაქალაქშიც ხშირად

ვხვდებით მშენებლობებს, სადაც კანონის მიერ მოთხოვნილი სტანდარტები ისევ დაუცველია. ამის შემჩნევა შეუიარაღებელი თვალითაც შეიძლება. სამწუხაროდ რეგიონებში, მშენებლობებზე ამ მხრივ არსებული მდგომარეობა უფრო მძიმეა.

კვლევის მიზნები. წარმოდგენილი კვლევის მიზანია შევისწავლოთ სამშენებლო სექტორში სახელმწიფოს მიერ გამოყენებული რეგულაციების, კერძოდ შრომის უსაფრთხოების წესების შემოღების გავლენა სამშენებლო კომპანიების ფინანსურ მდგომარეობაზე. ნაშრომის ძირითადი ამოცანებია:

- სამშენებლო სექტორის განვითარების ეტაპების შესწავლა;
- სამუშაო ადგილზე უსაფრთხო გარემოს შექმნის პროცესების ანალიზი;
- სახელმწიფოს მიერ მიღებული კანონის განხილვა უსაფრთხოების კუთხით;
- სამშენებლო კომპანიების მიერ გატარებული რეფორმების ანალიზი უსაფრთხო გარემოს შექმნისთვის;
- სამშენებლო კომპანიების ფინანსური ანალიზი გატარებული რეფორმების შემდეგ;
- შრომის უსაფრთხოების მაკონტროლებელი ორგანიზაციების ჩართულობა მიმდინარე პროცესებში;

კვლევისათვის გამოყენებული მეთოდები: რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის პარალელურად გამოყენებული იქნება ქართველ და უცხოელ ავტორთა ნაშრომები. ოფიციალური ვებგვერდები და საკანონმდებლო აქტები. გამომდინარე იქიდან, რომ საკითხი დახვეწას საჭიროებს და ჯერ კიდევ განიცდის ცვლილებებს, ამომწურავად შესწავლა შეუძლებელია. რაოდენობრივი ანალიზისათვის გამოყენებულია სტატისტიკური და გრაფიკული მეთოდები, შედარებისა და პროგნოზირების მეთოდები დროითი

მწკრივების გამოყენებით. თვისობრივი ანალიზისათვის გამოყენებულია გრაფიკული მეთოდები და დამოუკიდებლობის არაპარამეტრული ტესტირების მეთოდები.

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა

1.1 მშენებლობის ფინანსური უზრუნველყოფის პრობლემები საქართველოში.

2014-2017 წლებში სამშენებლო სექტორი საქართველოს ეკონომიკის ყველაზე სწრაფად მზარდი დარგი იყო. იზრდებოდა, როგორც კერძო დანიშნულების მშენებლობების ფართობი, ისე სახელმწიფოს ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების მოცულობა.

2018 წლის ივლისში პარლამენტმა მიიღო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ავტორობით შემუშავებული „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი, ახალ კოდექსს შემდეგი ძირითადი მიზნები აქვს:

1. სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავებისა და დამტკიცებისათვის
2. ნათლად სტრუქტურირებული პროცედურის გათვალისწინება;
3. სპეციალური ზონალური შეთანხმებისა და ე.წ. „კოეფიციენტები ვაჭრობის“ დარეგულირება;
4. ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის პროაქტიულად გამოქვეყნების საკანონმდებლო გარანტიები;
5. მიწის ექსპროპრიაციის გვერდით ახალი სამართლებრივი ინსტიტუტის - მიწის ნაკვეთების მონაცვლეობის გაჩენა;
6. ჩვეულებრივი სამშენებლო საქმიანობის გამოყოფილი მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი მშენებლობისაგან;


7. შენობა-ნაგებობის კონსტრუქციულ მდგრადობასთან, საიმედოობასთან, სიმტკიცესთან, სეისმომედეგობასთან, ცეცხლმედეგობასთან, ენერგოეფექტიანობასთან და ხმაურისაგან
8. დაცვასთან დაკავშირებით ძირითადი მოთხოვნების დადგენა;
9. ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უსაფრთხო ქალაქთმშენებლობის უზრუნველყოფა, სამშენებლო საქმიანობის საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრება და მშენებლობის ხარისხის ამაღლება;
10. მშენებლობის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების გამარტივებისა და სამშენებლო ზედამხედველობის ეფექტიანობის ამაღლების გზით სტაბილური საინვესტიციო გარემოს უზრუნველყოფა.

სამშენებლო ნებართვების საკითხი „მსოფლიო ბანკის“ ბიზნესის კეთების ინდექსის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ინდექსი, ერთი მხრივ, ყურადღებას ამახვილებს მშენებლობის ნებართვების გაცემის პროცედურებზე, დროსა და ღირებულებაზე, მეორე მხრივ კი, მშენებლობის ხარისხის კონტროლზე. ამ კრიტერიუმების მიხედვით 2018 წლის ინდექსით საქართველო მსოფლიოში 27-ე ადგილზეა. მსოფლიო ბანკს ყველა ქვეყანაში დაკვირვების ობიექტად სასაწყობო შენობის აშენება აქვს შერჩეული. 27-ე ადგილი განპირობებულია იმით, რომ მშენებლობის ნებართვის აღებას სჭირდება:


- 11 პროცედურა (საუკეთესო მაჩვენებელი დანიას აქვს - 7 პროცედურა);
- 63 დღე (საუკეთესო მაჩვენებელი სამხრეთ კორეას აქვს - 28 დღე);
- მშენებლობის ღირებულების 0.3% (საუკეთესო მაჩვენებელი სლოვაკეთს, მონღოლეთსა და ტაილანდს აქვს - 0.1%);

• და მშენებლობის ხარისხის კონტროლის ინდექსში 15-დან 7 ქულა გვაქვს (მაქსიმალური 15 ქულა არაბთა გაერთიანებულ საემიროებს, ახალ ზელანდიას და ლუქსემბურგს აქვს).

აღნიშნულმა კანონპროექტმა გამოიწვია ნებართვების გაცემის გართულება, რაც თავის მხრივ აისახა ქვეყნის ბიუჯეტზე 2014-2017 წლებში საქართველოს ეკონომიკა საშუალოდ წლიურად 3.8%-ით იზრდებოდა, როცა ამავე პერიოდში მშენებლობის სექტორის საშუალო წლიური ზრდა თითქმის 3-ჯერ უფრო მეტი, 12% იყო. მშენებლობის სექტორი მნიშვნელოვნად (10.1%-ით) შემცირდა 2013 წელს, რაც გამოწვეული იყო სახელმწიფოს მიერ ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების შემცირებით. დაფინანსების შემცირება ხელისუფლების ცვლილებამ განაპირობა, რადგან წინა ხელისუფლების მიერ დაწყებული პროექტების ნაწილი ახალმა ხელისუფლებამ შეაჩერა. 2013 წლის შემდეგ, მშენებლობის სექტორში კლება 2018 წლის პირველი ნახევარში დაფიქსირდა -0.3% - ით. აღნიშნული კლება ძირითადად კ2 კოეფიციენტების გაზრდის ნებართვების შემცირებამ განაპირობა. (<https://www.geostat.ge/>)



მშენებლობის სექტორის ზრდას ხელს უწყობდა ამ სექტორში მოზიდული პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიც. აღნიშნულ სექტორში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვნად 2014-2017 წლებში გაიზარდა, წელიწადში საშუალოდ 225 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია შემოდიოდა. გაიზარდა მშენებლობაში განხორციელებული ინვესტიციების წილი მთლიან ინვესტიციებში, 2014-2017 წლებში მთლიანი ინვესტიციების საშუალოდ 13%-მდე იყო. 2017 წელს ინვესტიციების მოცულობით მშენებლობა მხოლოდ ტრანსპორტის (488 მილიონი აშშ დოლარი) და საფინანსო საქმიანობის (304 მილიონი აშშ დოლარი) სექტორებს ჩამორჩა. (<https://www.geostat.ge/>), მაგრამ მშენებლობის ნებართვის გამკაცრებამ მისი შემცირება გამოიწვია.



საყურადღებოა, ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული რეგულაციები, რომლის მიხედვითაც კომერციულ ბანკებს კლიენტის გადახდისუნარიანობის, მისი შემოსავლებისა და ხარჯების დეტალური ანალიზის გარეშე, სესხის გაცემა ეკრძალებათ, რაც სამშენებლო კომპანიების გაყიდვებზე უკვე ნეგატიურად აისახა. ბინების გაყიდვები მინიმუმ 5-10%-ით შემცირდა რის გამოც უკვე დაწყებულ მშენებლობებზე, ზოგიერთ კომპანიას ფასების დაწევა მოუწიათ, რათა თვითღირებულება მაინც ამოიღოს. ხოლო, შემდგომ, ახალ პროექტებში ბინები კიდევ უფრო გაძვირდება.

1.2 შრომის უსაფრთხოება და ფინანსური ანალიზი

სამუშაო ადგილზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა, საქართველოში წლების მანძილზე უდიდეს გამოწვევად რჩება. შრომის უსაფრთხოების უფლების დარღვევის სიმწვავეს ნათლად წარმოაჩენს ბოლო წლების მანძილზე დასაქმებულთა გაფიცვების და პროტესტების ტალღა, რომელთა ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნას სამუშაო ადგილებზე უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა წარმოადგენდა. ამასთან, ოფიციალური მონაცემებით, 2011-2016 წლებში საწარმოო შემთხვევების შედეგად სამუშაო ადგილზე დაშავდა 776 და გარდაიცვალა 270 დასაქმებული.

2014-2016 წლების საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგის მიხედვით საქართველომ აიღო ვალდებულება შეექმნა შრომის ინსპექტირების ისეთი მექანიზმი და ინსტიტუტი, რომელსაც სამუშაო პირობების შესამოწმებლად ადეკვატური პოტენციალი ექნებოდა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტებს დააკმაყოფილებდა. მოცემული საკითხი ასევე განსაზღვრულია საქართველო-ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების 13-ე და 14-ე თავებში.

<https://emc.org.ge/ka/products/shromis-usaftrkhoebis-mimdinare-reformis-naklovanebebi>


2018 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ. სამშენებლო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად გამკაცრდა უსაფრთხოების ზომები რის შედეგადაც სავალდებულო გახდა სამშენებლო ობიექტზე მომუშავე პირების სპეც ტანსაცმლით აღჭურვა და უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა და სხვა

ლონისძიებები. კანონში ასევე გაწერილია ჯარიმები დაუმორჩილებლობის შემთხვევებისათვის, რაც 30 000 ლარიდან 50 000 ლარამდე მერყეობს. (ზემოაღნიშნული ჯარიმები და სხვა ფინანსური ინფორმაცია აღებულია ნაშრომის წერის პერიოდისათვის და არ გამორიცხავს ცვლილებებს).

როგორც ექსპერტების ნაწილი ვარაუდობდა უსაფრთხოების ახალმა სტანდარტებმა გამოიწვია მშენებლობის თვითღირებულების საშუალოდ 2%-ით ზრდა. აღნიშნული გამოწვეული არის, როგორც უსაფრთხოების ინვენტარის შექმნით ასევე თანამშრომლების სადაზღვევო ხარჯების გაზრდით. 2019 წლის სექტემბრიდან სამშენებლო კომპანიებს დაევალებათ ნებისმიერი ახალი შენობის აშენების დროს პროექტში გათვალისწინებული იქნას სახანძრო უსაფრთხოება, რაც თავის მხრივ გამოიწვევს მშენებლობის კიდევ უფრო გაძვირებას მაგალითად: თუ დღეს კვადრატული მეტრის ფასი 550\$ -ია ექსპერტების ვარაუდით ეს ციფრი გაიზრდება და კვადრატული მეტრის საწყისი ფასი დაახლოებით 650\$ იქნება, რაც დაახლოებით მიმდინარე ღირებულების 18%-ია.

წარმოგიდგენთ ერთ-ერთი სამშენებლო კომპანიის მაგალითს თუ როგორ გაიზარდა ფინანსური ხარჯები კანონის შემოღებასთან ერთად, სპეც ტანსაცმლით თამანშრომლების აღჭურვა წარმოდგენილია ცხრილის სახით, რაც საერთო სამშენებლო ხარჯის 1%-ია . (იხ. ცხრილი 1)

ცხრილი #1. სპეც ტანსაცმლით თანამშრომლების აღჭურვა



Row Labels	Sum of Digit
აღჭურვილობა	29955.08
2017	3604.24
2018	4347.46
2019	22003.39
ტანსაცმელი	4494.15
2017	1113.05
2018	2113.77
2019	1267.33
ფეხსაცმელი	7444.07
2017	1419.49
2018	3811.02
2019	2213.56

ჩაფხუტი	508.47
2017	76.27
2018	330.51
2019	101.69
ხელთათმანი	6466.93
2017	786.17
2018	3387.54
2019	2293.22
Grand Total	48868.71

ახალი სამშენებლო კოდექსის მიხედვით სავალდებულო გახდა თანამშრომლების დაზღვევა უბედური შემთხვევის დაზღვევით. სხვადასხვა სადაზრვევო კომპანია სხვადასხვა ფასსა და ანაზღაურების სისტემას სთავაზობს სამშენებლო კომპანიებს. სადაზრვევო ფასი საშუალოდ 2.00 ლ-დან 5 ლ-მდე მერყეობს და სავალდებულოა ობიექტზე მომუშავე ყველა ადამიანისათვის. უბედური შემთხვევის დადგომის შემთხვევაში ფასთან პროპორციულია ასანაზღაურებელი ლიმიტი რაც მერყეობს 3000-12000 ლარამდე რაც 1%-ია საერთო სამშენებლო ხარჯის.

სამშენებლო კომპანიების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ინფრასტრუქტურის მშენებლათა ასოციაცია აწარმოებს მოლაპარაკებებს ეკონომიკის სამინისტროსა და სხვა ორგანოებთან რათა ტენდერის შემთხვევაში გათვალისწინებული იქნეს შრომის უსაფრთხოებისათვის გარკვეული თანხა ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ და ცხრილი გვიჩვენებს, აღნიშნული ხარჯების ზრდა მოქმედებს სამშენებლო კომპანიის ფინანსებზე.

1.3 რეფორმები სამშენებლო კომპანიებში

შრომის უსაფრთხოების პრობლემატიკის უფრო თვალსაჩინოდ წარმოჩენისა და განხილვის მიზნით, ჩვენ მივმართეთ საქართველოში არსებულ სამშენებლო კომპანიებს და გამოვიკვლიეთ მათ მიერ გადადგმული ნაბიჯები ამ სფეროში. უნდა აღინიშნოს რომ შრომის უსაფრთხოების დასაცავად დამსაქმებლის მზაობა გაცილებით დიდია ვიდრე დასაქმებულის. გამოკითხული 10 სამშენებლო კომპანიიდან 6 აქვს შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის დეპარტამენტი, რომელიც შედგება 3-10 თანამშრომლისგან, ხოლო 4 კომპანიას ჰყავს შრომის უსაფრთხოების მენეჯერი (როგორც აღნიშნავენ, მასშტაბურობიდან გამომდინარე საჭიროებენ მხოლოდ 1 ან 2 მენეჯერის ყოლას). გამოკითხული კომპანიების უდიდეს ნაწილი შრომის უსაფრთხოების დასაცავად და უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად მიმართავს შემდეგი სახის ღონისძიებებს:

რისკების შეფასება - კომპანიის მენეჯმენტი ახორციელებს კონკრეტული საქმიანობისათვის სპეციფიკურ შეფასებას, ტექნიკური აღჭურვილობის აუდიტს, პოტენციური საფრთხეების შესახებ ინფორმაციის მოგროვებას, რისკების ანალიზს, ყველა რისკების სათანადო კონტროლის მექანიზმების დადგენასა და სამუშაოს განმახორციელებელი თანამშრომლებისათვის მიწოდებას (იხ ცხრილი 1). რისკის შეფასების პროცესი გახდება გადაწყვეტილების მიღების საფუძველი სამუშაოს დაგეგმარებისა და განხორციელების მხრივ. საჭიროების შემთხვევაში განისაზღვრება ის ასპექტები, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებს. კომპანიის

ხელმძღვანელობა რეგულარულად აფასებს საფრთხეებსა და რისკებს, ახორციელებს შრომის უსაფრთხოების გეგმით გათვალისწინებულ მუდმივ მონიტორინგსა და კონტროლს, ადგენს რისკის მატრიცას (იხ ცხრილი 2).

ცხრილი # 1 პოტენციური საფრთხეების შესახებ ინფორმაციის მოგროვება

ობიექტის დასახელება	
ობიექტის მისამართი	
დოკუმენტის დამტკიცების თარიღი	
დოკუმენტის მოდიფიკაციის/ცვლილების თარიღი	
პასუხისმგებელი პირები	დირექტორი - შრომის უსაფრთხოების მენეჯერი - საამქროს/ობიექტის უფროსი -

აქტივობა/პროცესი/სამუშაოს სახეობა	ვინ იმყოფება რისკის ქვეშ
-----------------------------------	--------------------------

რისკების შეფასების პრინციპები, მეთოდოლოგია, კონტროლის მექანიზმების იერარქია						
სცენარი/პროცედურა	საფრთხეები	პოტენციური ზიანი	რისკების კონტროლის არსებული ზომები	რისკის დონე	რისკების კონტროლის დამატები	რისკის დონე დამ. კონტ. შემთხვევაში

					თ გასატ არებე ლი ზომე ბი	
--	--	--	--	--	---	--

ცხრილი # 2

რისკის მატრიცა

			პოტენციური შედეგები				
			უმნიშვნელო დაზიანებები ან დისკომფორტი. არასამედიცინო ჩვენებები	დაზიანება, რომელიც საჭიროებს მკურნალობას	დაზიანება, რომელიც საჭიროებს ჰოსპიტალიზაციას	დაზიანება/ტრავმა, რომელიც პერმანენტულად ჯარესდება	ფატალური შემთხვევა
			უმნიშვნელო	ნაკლებად მნიშვნელოვანი	ზომიერი	მნიშვნელოვანი	მძიმე
ალბათობა	მოსალოდნელია, რომ ნორმალურ სიტუაციაში რეგულარულად მოხდეს	დიდი ალბათობა	საშუალო	მაღალი	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი
	მოსალოდნელია, რომ ზოგჯერ მოხდეს	საგარაუდო	საშუალო	მაღალი	მაღალი	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი
	შეიძლება მოხდეს იშვიათად	შესაძლებელი	დაბალი	საშუალო	მაღალი	მაღალი	ძალიან მაღალი
	საგარაუდოდ არ მოხდება გაოკვეული დროის მანძილზე	ნაკლებად საგარაუდო	დაბალი	დაბალი	საშუალო	საშუალო	მაღალი
	შესაძლოა ოდესმე მოხდეს, მაგრამ დიდი ალბათობით არასდროს მოხდება	იშვიათი	დაბალი	დაბალი	დაბალი	დაბალი	საშუალო

რისკების შეფასება, არის სამუშაო ადგილას სხვადასხვა გარემოებებიდან წარმოქმნილი ან საფრთხეებით განპირობებული რისკების აღმოჩენის და შემდგომ შემცირების, გაკონტროლების ან აღმოფხვრის პროცესი, მომუშავეების ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვის მიზნით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის დეტალური გამოკვლევა იმისა საკმარისი

ზომები არის თუ არა მიღებული საიმისოდ რომ დაცული იყოს მომუშავე პერსონალი სამუშაო ადგილას დაზიანებებისგან, თუ საჭიროა დამატებითი ზომები. ძირითადი მიზანი რისკების შეფასების არის დარწმუნება იმაში რომ არავინ ზიანდება სამუშაოს შესრულების დროს თავის სამუშაო ადგილას.

ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ რისკების შეფასების 3 ძირითადი მიზეზი:

- ადამიანების დაზიანებები - არის რისკების შეფასების ყველაზე პრიორიტეტული მიზეზი
- კანონიერი მოთხოვნები - ყველა დამქირავებელი ვალდებულია შეუქმნას თავის მომუშავეებს უსაფრთხო სამუშაო პირობები, რათა თავი აარიდოს შემდგომში სხვადასხვა სახის ჯარიმებს და თუნდაც სისხლის სამართლის საქმის აღძვრას
- ეკონომიკური ფაქტორები - დამქირავებელი ყოველთვის ეცდება შეამციროს ამა თუ იმ უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც გამოიხატება არა მხოლოდ პირდაპირ ხარჯებში როგორცაა კომპანიის საკუთრების დაზიანება და დაზარალებულთათვის სხვადასხვა სახის კომპენსაციების გადახდა, არამედ არა პირდაპირი ზარალის თავიდან აცილების მიზნით როგორცაა რეპუტაციის შელახვა, შეკვეთების ნაკლებობა და ა.შ.

უბედური შემთხვევების ძირითადი მიზეზების მაგალითები:

- ფეხის მოცურება/წამოკვრა/ვარდნა
- სიმალიდან ჩამოვარდნა
- ჩამოვარდნილი საგნები
- სხვადასხვა საგნებთან შეჯახება
- მოყოლა/მოჭყლეტვა საგნებს შორის ან ქვეშ
- ხელით მუშაობა/აწევა/გადატანა
- მძიმე ტექნიკასთან / იარაღებთან მუშაობა

- ელექტროობა
- სატრანსპორტო საშუალებები
- ქიმიკატებთან მუშაობა
- ხანძარი და აფეთქება
- ბიოლოგიური
- ფიზიკური
- ფსიქოლოგიური

კომპანიის მენეჯმენტი ახორციელებს კონკრეტული საქმიანობისთვის სპეციფიკურ შეფასებას, ტექნიკური აღჭურვილობის აუდიტს, პოტენციური საფრთხეების შესახებ ინფორმაციის მოგროვებას, რისკების ანალიზს, ყველა რისკების სათანადო კონტროლის მექანიზმების დადგენასა და სამუშაოს განმახორციელებელი თანამშრომლებისთვის მიწოდებას.

რისკის შეფასების პროცესი ხდება გადაწყვეტილებების მიღების საფუძველი სამუშაოს დაგეგმარებისა და განხორციელების მხრივ. საჭიროების შემთხვევაში განისაზღვრება ის ასპექტები, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებს.

კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად აფასებს საფრთხეებსა და რისკებს, ახორციელებს შრომის უსაფრთხოების გეგმით გათვალისწინებულ მუდმივ მონიტორინგსა და კონტროლს.

რისკების შეფასების 5 ძირითადი ნაბიჯი

1. საფრთხეების აღმოჩენა. ამ ნაბიჯის მიზანია ყველა არსებული საფრთხეების აღმოჩენა და არსებულებისგან ყველაზე მნიშვნელოვნების გამოყოფა.

2. განსაზღვრა თუ ვინ შეიძლება დაზიანდეს. ეს შეიძლება იყონ როგორც ხალხი უშუალოდ ჩართულები სამუშაო პროცესში, აგრეთვე დანარჩენი პერსონალი ვისაც შესაძლებელია ავნოს უბედურმა შემთხვევამ.

3. საფრთხეებთან არსებული რისკების განსაზღვრა და კონტროლის საკმარისობის შეფასება თუ საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ზომების შემუშავება და მიღება.

4. აღმოჩენილი საფრთხეების მონიტორინგი.

5. პერიოდულად არსებული ფორმის გადახედვა და ცვლილებების შეტანა საჭიროების შემთხვევაში.

ალბათობის დაყოფა შესაძლებელია 5 ძირითად დონეზე:

1. მაღალი ალბათობა - ხშირად ჩნდება ამა თუ იმ საქმიანობის დროს

2. სავარაუდო - მოსალოდნელია იჩინოს თავი და შესაძლებელია იჩინა თავი რამოდენიმეჯერ

3. შესაძლო - თავს იჩენს ხანდახან

4. შორეული - ნაკლებად სავარაუდო, შესაძლებელი იყო გათვალისწინება

5. წარმოუდგენელი - ალბათობა მიახლოებით ნულის ტოლია

რისკების შეფასების მატრიცა კომპანიას ეხმარება განსაზღვროს პრიორიტეტული კონტროლის ზომების შემუშავება. მატრიცაში მოცემული ერთიანით (1) აღნიშნული გრაფები იქნება ყოველთვის პრიორიტეტული რადგან ალბათობა და მოსალოდნელი სიმძიმე არის მაღალი. მათ მოყვება ორიანით და სამიანით (2,3) აღნიშნული გრაფები, სადაც ალბათობა და მოსალოდნელი სიმძიმე კლებულობს. დარჩენილი ცარიელი გრაფები (მაგალითად სადაც ალბათობა და მოსალოდნელი სიმძიმე არის შორეული) გულისხმობს რომ რისკის დონე არის მისაღები და შესაძლებელია ეგეთ პირობებში სამუშაოების ჩატარება. მატრიცა არის რისკების დახარისხების ზოგადი ხასიათის საშუალება, რომლის მეშვეობით გამოვლინდება იმ საფრთხეები რომლებიც წარმოადგენენ მაღალ რისკებს ალბათობიდან და შედეგებიდან გამომდინარე. არსებული საფრთხეებიდან გამომდინარე კომპანიას შეუძლია გააკეთოს სუბიექტური შეფასება დაზიანების

ალბათობის და სიმძიმის შესახებ. რამდენად ეფექტური იქნება ეს, დამოკიდებულია შემფასებლის შეფასების ხარისხზე და სრულიად შესაძლებელია რომ სახვადასხვა შემფასებელმა გამოიტანოს სხვადასხვა დასკვნები ერთი და იგივე სიტუაციისათვის.

შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება - კომპანიას საქმიანობის განხორციელებისას, პრიორიტეტად აქვს დასახული შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობისა დაცვის საკითხები. კომპანიის ხელმძღვანელობა აცნობიერებს შრომის უსაფრთხოების კუთხით კომპანიის პასუხისმგებლობას და სათანადოდ უზრუნველყოფს დასაქმებულთა შრომისა და ჯანმრთელობის დაცვას, ადასტურებს თავის ვალდებულებას დაიცვას, როგორც საქართველოს შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობა, ასევე საერთაშორისოდ აღიარებული უსაფრთხოების სტანდარტები. კომპანიის მენეჯმენტი მიისწრაფის მიმდინარე სამუშაო პროცესებისა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს გაუმჯობესებისკენ.

სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად კომპანიის მენეჯმენტი:

- ზრუნავს, რომ საფრთხის არსებობისას დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას ზიანი არ მიადგეს.
- უზრუნველყოფს, რომ ფიზიკურმა, ქიმიურმა და ბიოლოგიურმა საფრთხის შემცველმა ფაქტორებმა დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას საშიშროება არ შეუქმნას.
- დასაქმებულებს აცნობს შრომის უსაფრთხოებასთან, საფრთხეებთან და რისკებთან დაკავშირებული ინფორმაციებს და ახორციელებს მათ ინსტრუქტაჟს.

- კანონმდებლობით დადგენილი წესით აღრიცხავს სამუშაო სივრცეში უბედურ შემთხვევებს, პროფესიული დაავადებების შემთხვევებს.
- რეგულარულად ამოწმებს ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობას.
- დასაქმებულთა ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების რისკის შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად ახორციელებს პრევენციულ ღონისძიებებს, აფასებს რისკებს, ზრუნავს საფრთხის შემცველი ფაქტორების შემცირებასა და აღმოფხვრაზე.

გამოკითხული კომპანიების უმრავლესობას დოკუმენტურად გაწერილი და შემუშავებული აქვთ შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა სადაც დეტალურადაა გაწერილი ყველა ის ღონისძიება რომელიც აუცილებლადაა ჩასატარებელი უსაფრთხო სამუშაო გარემოს შესაქმნელად. შრომის უსაფრთხოების პოლიტიკაში გაწერილია შემდეგი აუცილებელი გარემოებები:

1. ვარდნის პრევენცია
2. ლოჯისტიკა
3. მიწის და სამშენებლო სამუშაოები
4. აწევა და თოკით (ბაგირით) აწევა
5. ელექტრო უსაფრთხოება
6. ჯანმრთელობა, დამცავი აღჭურვილობა და კეთილდღეობა
7. ხანძარი და საგანგებო სიტუაციები
8. გარემოს უსაფრთხოება

ვარდნის პრევენცია

1. სიმაღლეზე სამუშაო მაქსიმალურად უნდა იქნას თავიდან აცილებული. იქ, სადაც სიმაღლეზე მუშაობა გარდაუვალია, უნდა იქნას

დამონტაჟებული ფიზიკური ბარიერები ადამიანების ან მასალების ვარდნის პრევენციისთვის.

2. თუ სიმაღლეზე მუშაობა აუცილებელია და შეუძლებელია ფიზიკური ბარიერების მონტაჟი ან სამუშაო უნდა შესრულდეს ფიზიკური ბარიერის გარეთ, უნდა იქნას გამოყენებული სხეულის აღჭურვილობა (იხილეთ სურ 1) ვარდნის თავიდან ასაცილებლად. უსაფრთხოების აღკაზმულობა უნდა იქნას მიმაგრებული შესაბამის ანკერზე, რომელიც საკმარის ვარდანაგამძლე დაცვას იძლევა ვარდნის შესაჩერებლად. ყველა ხსენებული კომპონენტი უნდა იყოს გამართული და სათანადოდ შემოწმებული. (დამხმარე სახელმძღვანელო სიმაღლეზე მუშაობისას,სს-„თელასი“ თბილისი 2007)

პერიმეტრის დაცვა

1. ნებისმიერი მშენებლობისა თუ დემონტაჟის სამუშაოების წარმოებისას იქ, სადაც არის ალბათობა ადამიანების ან მასალების ვარდნისა, პერიმეტრი უნდა იყოს ეფექტურად დაცული საკმარისი სიმაღლისა და სიმტკიცის ფიზიკური ბარიერებით, რათა თავიდან იქნას აცილებული ადამიანების ან მასალების ვარდნა. ასეთი შეიძლება იყოს: ხარაჩოები, დამცავი გისოსები, კაბელისა და ბადის სისტემები და ა.შ. გამოყენებული დაცვის საშუალებები უნდა იყოს დასახული მიზნის ადექვატური .
2. იმ ადგილებში, სადაც სამუშაოები ტარდება დამცავი პერიმეტრის გარეთ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მასალების ვარდნა, მოთხოვნები უნდა შეესაბამებოდეს ამ თავის 1.9 პუნქტს.

დაშვების სისტემები

1. საერთო სამუშაო პერიმეტრზე ან სართულებზე დაშვება უნდა იყოს უზრუნველყოფილი მუდმივი კონსტრუქციებით, იქ, სადაც ამის საშუალება არ არის, მოწყობილი უნდა იქნას დროებითი კიბეები, შესაბამისი სიგანითა

და მოაჯირებით. ნებისმიერი დროებითი კონსტრუქცია უნდა იყოს კონსტრუქციულად მყარი და კონკრეტული მიზნისთვის შექმნილი.

2. ყველა მექანიკური მისადგომი სისტემებით სარგებლობისას (მაგალითად კალათები და პლატფორმები), რომელიც გამოიყენება სიმაღლეზე სამუშაოებისთვის მიღებული უნდა იყოს ეფექტური ზომები. ასეთი ტიპის სამუშაოებისას დაცული უნდა იქნეს ამ წესის მე-4 თავით გათვალისწინებული მოთხოვნები. სამუშაოების წარმოებისას შემაკავებელი აღჭურვილობები უნდა იყოს მორგებული და ჩაცმული იმ პირების მიერ, ვინც აწარმოებს ხსენებული ტიპის სამუშაოებს.
3. დაკიდული მისადგომი მოწყობილობები (მაგ.: აეროდინამიკური ამწეები, გონდოლები და დაკიდული კალათები) გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც უფრო უსაფრთხო მისადგომი საშუალებები არაპრაქტიკულია. ყველა პირი, რომელიც მუშაობს ასეთი ტიპის მოწყობილობებზე, უნდა აღიჭურვოს შესაბამისი ვარდნის საწინააღმდეგო აღკაზმულობით, რათა მოწყობილობის ნებისმიერი ხარვეზის და გაუმართაობის შემთხვევაში დაცული იყოს.
4. ყველა პირი რომელიც იყენებს ანმაზე ამსვლელს, დაკიდულ ამწეებს, ხარაჩოებს და შენობის შენახვისათვის საჭირო მოწყობილობებს, უნდა აღიჭურვოს გადმოვარდნის საწინააღმდეგო აღკაზმულობით და ღვედებით.

მეტალის კონსტრუქციის აღმართვა

1. მეტალის კონსტრუქციის ნაწილები უსაფრთხოდ უნდა იქნას აწეული, ამ წესის მე-4 თავის მოთხოვნების დაცვით. დანიშნულების ადგილამდე აწევისას, ისინი გადმოღებული უნდა იქნეს ამწე საშუალებებიდან. მუშებს უნდა ეცვათ შესაბამისი უსაფრთხოების აღჭურვილობა.
2. მეტალის პლატფორმის სამუშაოებისთვის უნდა დამონტაჟდეს, ვარდნის საწინააღმდეგო სათანადო ბადე და დამცავი მოაჯირები. სიმაღლეზე

მუშაობის თავიდან ასაცილებლად, პერიმეტრის დამცავი მოაჯირები უნდა მოერგოს კოჭებს მიწის დონეზე და შემდეგ მოხდეს მათი აწევა. ვარდნის საპრევენციო ბადე ყოველთვის უნდა იყოს სამუშაო ადგილის ერთი უბნით წინ.

3. როდესაც მუშას უწევს მუშაობა კონსტრუქციასთან უშუალო შემხებლობაში, ის აუცილებლად უნდა იყოს აღკაზმული ვარდნის საწინააღმდეგო ჟილეტით და Y ფორმის ენერჯის შთანთქმელი ვარდნის საწინააღმდეგო ქამრით. ქამრები კონსტრუქციაზე უნდა იყოს დამაგრებული ორივე სამაგრით.
4. მეტალის ხარაჩოს აწევისას სამუშაოები უნდა შეესაბამებოდეს „მშენებლობის ფიზიკურ SMR 1.9 მასალის ვარდნა“. ([Occupational Safety and Health Administration. Protecting Roofing Workers](#))

ბეტონის ყალიბის მოწყობა

1. ბეტონის ყალიბებისათვის საჭირო მასალის აწევა უნდა განხორციელდეს ამ წესის მე-4 თავის მოთხოვნების დაცვით.
2. სიმაღლეზე სამუშაოები უნდა გამოირიცხოს, სადაც ამის საშუალება არსებობს. კედლის და სვეტის ყალიბი, არმატურის ბადე და შატერები უნდა დამზადდეს მიწის დონეზე და შემდეგ იქნას ატანილი დანიშნულების ადგილამდე. თუ მოცემული ხერხი არ არის პრაქტიკული, გამოყენებულ უნდა იქნას შესაბამისი სამუშაო პლათფორმა ყალიბის სამუშაოებისთვის, რომელსაც უნდა გააჩნდეს ნაპირის დამცავები.
3. ბეტონის ფილის ყალიბის აწყობა უნდა წარმოებდეს ქვემოდან ზევით მიმართულებით, დგარების გამოყენებით.
4. ბეტონის ბირთვი/ხიდის ესტაკადა/ყალიბის სამუშაოები უნდა იქნას ისე დაგეგმილი, რომ უზრუნველყოს მისი სრულად „შეფუთვა“ მასალის ვარდნის თავიდან ასაცილებლად. ყველა მუშა პლათფორმა სრულად უნდა იქნას დალუქული ჰორიზონტალურად, რათა თავიდან იქნას აცილებული

საგნების ვარდნა, გარდა ღიობისა არმატურის მოთავსებისთვის ზედა დონეზე.

5. სამუშაო არ უნდა შესრულდეს ფილაზე ღია ნაპირებით. ნაპირის დაცვის სისტემები უნდა იქნას დამონტაჟებული.
6. ყველა ბეტონის ყალიბის ჩარჩოს აწვევის სამუშაოები უნდა შესრულდეს „მშენებლობის ფიზიკური SMR 1.9 მასალის ვარდნის“ მოთხოვნების შესაბამისად (**Occupational Safety and Health Administration. Protecting Roofing Workers**)

ორმოები, ღრმულები და შახტები

1. ეფექტური ზომები უნდა იქნას მიღებული ორმოებში, ღრმულებში და შახტებში ადამიანებისა და მასალების ვარდნის თავიდან ასაცილებლად.
2. ყველა ლიფტის შახტა უნდა იქნას აშენებული ისე, რომ დაცული იყოს ორივე მხარე, ის რომელიც სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებს და ის, რომელიც ლიფტს ამონტაჟებს. უსაფრთხო სამუშაო პლათფორმა უნდა იქნას გამოყენებული ყველასთვის, ვინც ლიფტის შახტაში მუშაობს.
3. ლიფტის შახტებში შემავალი ღიობები სრულად უნდა იქნას დაცული, შესაბამისი ბარიერებით, რომელიც შეზღუდავს ადამიანებისა და მასალების ვარდნას შახტაში.
4. ორმოებს და ღრმულებს უნდა ჰქონდეთ გადაკრული ბადეები მშენებლობის განმავლობაში ან დაცულნი იქნენ დამცავი მოაჯირებით ან/და სახურავებით.
5. ორმოებში, ღრმულებში და შახტებში დამცავი საშუალებები მხოლოდ მაშინ უნდა იქნეს მოხსნილი, როდესაც სამუშაო სრულდება მათ შიგნით. თუმცა, ასეთი ღიობების ირგლივ დამონტაჟებული უნდა იქნას სხვა დამცავი ბარიერები ჩავარდნის აღსაკვეთად. (www.osha.ge)

ხარაჩოები, დროებითი სამუშაოები და სამუშაო პლათფორმები

1. ხარაჩოები, რომლებიც იქნება გამოყენებული ობიექტზე, უნდა იქნეს შემოწმებული და მათ არ უნდა გააჩნდეთ სტრუქტურული დეფექტები.
2. ყველა ხარაჩო უნდა იყოს სტაბილური და საიმედო, რომ არ იმოძრაოს ან არ ჩამოიშალოს.
3. ხარაჩოებს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ჯვარედინი სამაგრები, მყარი სადგამები და მიეზას სტრუქტურას იქ, სადაც სიმაღლის/საფუძვლის პროპორცია 3:1-ზე მეტია.
4. ხარაჩოებზე ასასვლელად უნდა დამონტაჟდეს საფეხურები. იქ სადაც ზემოთხსენებული არ არის პრაქტიკული, გამოიყენება დახრილი კიბე ან შესაფერისი დახრილი დამაკავშირებელი. ხარაჩოების გარედან ასვლა (აცოცვა) აკრძალულია.
5. ხარაჩოებზე ყველა ასასვლელი/ჩასასვლელი უნდა იყოს მოწყობილი ისე, რომ თავიდან იყოს აცილებული ვარდნის საშიშროება. ასასვლელი კიბეები ადიოდეს სამუშაო დონიდან 1 მეტრის სიმაღლეზე, ორმოები დაფეხში უნდა იყოს ისეთი მცირე ზომის.
6. სამუშაო პლათფორმებზე ფიცრები უნდა იყოს ერთმანეთთან ახლოს განლაგებული. ნებისმიერი დაზიანებული ფიცარი, ნარჩენები, სამშენებლო ნაგავი, უნდა იქნას მოშორებული ხარაჩოებიდან პირველი შესაძლებლობისთანავე.
7. დამცავი მოაჯირები, შუალედური მოაჯირები და დასადგომი ფიცრები უნდა იქნას დამაგრებული სამუშაო პლათფორმის ყველა ღია მხარეზე, საიდანაც საშიშროება იქმნება ადამიანებისა თუ მასალის გადავარდნის. იქ სადაც არსებობს მასალის გადავარდნის რისკი, უნდა იქნას უზრუნველყოფილი ვარდნის აღმკვეთი საშუალებები, მაგ.: ბადე ან ღობე. იქ სადაც არსებობს საფრთხე მტერის, ხსნარების ან მცირე საგნების გადავარდნის, რომელიც საფრთხეს უქმნის მუშებს ან ხალხს, დამატებითი

უსაფრთხოების ზომები უნდა იქნას მიღებული, მაგ.: დამონტაჟდეს პლასტმასის ბადე/ფურცელი.

8. მობილური კომპიუტერის ხარაჩოების გამოყენების შემთხვევაში უნდა იქნას დამონტაჟებული ზედა დამცავი მოაჯირები, შუალედური მოაჯირებით და სადგომი დაფებით, ასევე უსაფრთხო საშუალებები სამუშაო პლათფორმაზე შიგნიდან მისადგომად. მობილურ კომპიუტერს ხარაჩოებს უნდა ჰქონდეს ჩასაკეტი ბორბლები, რომელიც უნდა ჩაიკეტოს, რათა არ იმოძრაოს, როდესაც მასზე ხელოსნები მუშაობენ. მობილური კომპიუტერს ხარაჩოზე უნდა იმყოფებოდეს მუშა-პერსონალი, როდესაც ხდება მისი გადაადგილება.
9. ყველა მტვირთავ პლათფორმას უნდა ჰქონდეს დამცავი მოაჯირები ყველა მხარეს, მათ შორის წინა/ღია მხარეს, რომელიც ხელს შეუშლის ადამიანებისა თუ მასალების გადავარდნას. მტვირთავი პლათფორმები უნდა იყოს ისე მოწყობილი, რომ ტვირთის გადმოღება მოხდეს დამცავი მოაჯირების დემონტაჟის გარეშე. მაგალითად მას უნდა გააჩნდეს მოძრავი კარი.

კიბეები

1. სამშენებლო ობიექტზე გადასატანი კიბეების გამოყენების საჭიროება მაქსიმალურად უნდა იქნას შემცირებული. სიმაღლეზე ჩასატარებელი სამუშაოს ეფექტური შესრულებისათვის გამოყენებული უნდა იქნეს შედარებით უსაფრთხო საშუალებები იმინი ამწეები, მოძრავი კომპიუტერის ხარაჩოები და პოდიუმის საფეხურები.
შემთხვევა. მწვავე ან ქრონიკულ პროფესიულ დაავადებაზე გონივრული ექვის მიტანის შემთხვევაში, შესაძლო პროფესიული დაავადების გამომწვევი მიზეზ(ებ)ის დადგენის მიზნით კომპანიის დირექტორი შექმნის პროფესიული დაავადების მოკვლევის ჯგუფს ან/და მოიწვევს შესაბამისი დარგის სპეციალისტებს. კომპანიის მენეჯმენტი გაატარებს ჯგუფის/მოწვეული სპეციალისტების მიერ განსაზღვრულ, პროფესიული დაავადების გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრისა და პრევენციის ღონისძიებებს.

საგანგებო სიტუაციები და ევაკუაცია - საგანგებო სიტუაციების მზადყოფნისათვის კომპანია განსაზღვრავს პირობებს თუ როდის ხდება ევაკუაცია აუცილებელი, განახორციელებს პერსონალის სათანადო სწავლებას, პერსონალს განუსაზღვრავს სათანადო გზებსა და თავშეყრის ადგილებს, თვალსაჩინო ადგილებში განათავსებს გამაფრთხილებელ ნიშნებს, საავარიო განათებებს და საევაკუაციო გეგმებს. ინტენსიურად ამოწმებს საევაკუაციო გასასვლელებსა და შესაბამის ნიშნებს. ავარიული და საგანგებო სიტუაციებისას ხდება სამუშაო პროცესის გაჩერება, დაუყოვნებლივ სამუშაო სივრცის დატოვება საევაკუაციო გეგმის მიხედვით, შესაბამისი სამსახურების (112) დაუყოვნებლივ ინფორმირება, საჭიროების შემთხვევაში გადაუდებელი პირველადი დახმარების გაწევა.

მონიტორინგი და კონტროლი - კომპანიის მენეჯმენტი განახორციელებს შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების მონიტორინგს და კონტროლს. გაანალიზებული და შესწავლილი ინფორმაციის ხასიათისა და ჩატარების დროის მიხედვით, მონიტორინგი, შესაძლოა იყოს აქტიური (გამაფრთხილებელი) და რეაქციული (საპასუხო).

აქტიურ (გამაფრთხილებელ) მონიტორინგში შედის:

- დაკვირვება შრომის უსაფრთხოებასა და ჰიგიენაზე, დასაქმებულთა ჯანმრთელობაზე (პერიოდული სამედიცინო შემოწმების შედეგების მიხედვით), საწარმოო გარემოს უსაფრთხოებაზე;

- კონკრეტული გეგმების შესრულების, ასევე შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ჩატარებული საქმიანობის შედეგების ანალიზი;
- სისტემატიური შემოწმებები არსებული პირობების, ჯანმრთელობის დაცვის, შრომის უსაფრთხოებისა სისტემის ფუნქციონირების კუთხით.
- რეაქციულ (საპასუხო) მონიტორინგში შედის:
- საწარმოში ინციდენტებისა და პროფესიული დაავადებების კვლევის შედეგების ანალიზი;
- შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საქმიანობის არადამაკმაყოფილებელი შედეგების, ინსტრუქციების ხარვეზების ანალიზი;
- უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანალიზი.
- პერიოდული კონტროლი განხორციელდება ყოველდღიურად და ყოველკვარტლურად. ყოველდღიურ კონტროლს განახორციელებს შრომის უსაფრთხოების მენეჯერი და მთავარი ინჟინერი.
- შრომის უსაფრთხოების მენეჯერის მიერ ყოველდღიურად შემოწმდება:
- სამუშაო ადგილების, სათავსების, საევაკუაციო გასასვლელების მდგომარეობა;
- ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებების არსებობა და სწორი გამოყენება;
- წინასამუშაო ინსტრუქტაჟებისა ჩატარება;
- წინა შემოწმებების დროს გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად ჩატარებული ღონისძიებებისა და მითითებების შესრულება;
- პერსონალის მიერ შრომის უსაფრთხოების საერთო მოთხოვნების შესრულება.
- მთავარი ინჟინრის მიერ ყოველდღიურად შემოწმდება:

- ტექნოლოგიური მოწყობილობების, აღჭურვილობისა და ინსტრუმენტების, ასევე ტვირთამწე საშუალებების უსაფრთხოება;
- სავენტილაციო სისტემებისა და მოწყობილობების გამართულობა;
- უსაფრთხოების ინსტრუქციების შესრულება.
- ყოველკვარტლური შემოწმება განხრციელდება დირექტორის მიერ, ამისათვის შექმნილი კომისიის ან მოწვეული სპეციალისტების მეშვეობით. ყოველკვარტლური კონტროლის მიმდინარეობისას შემოწმდება:
 - ყოველდღიური კონტროლის ორგანიზება და შედეგები;
 - კომპანიის დირექტორის განკარგულებებისა და უსაფრთხოების ინსტრუქციების შესრულება;
 - საწარმოში მომხდარი უბედური შემთხვევებისა და პროფესიონალური დაავადებების მოკვლევის კომისიის/ჯგუფის მიერ განსაზღვრული ღონისძიებების შესრულება;
 - სწარმოო ან სხვა მოწყობილობების, ტექნოლოგიური პროცესების გამართულობა და შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობა;
 - შრომის და სახანძრო უსაფრთხოების ნორმებისა დაცვა.
 - დამცავი, სასიგნალო, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებისა და მოწყობილობების არსებობა და მათი მდგომარეობა;
 - ინსტრუქტაჟის ჩატარების დროულობა და ხარისხი;
 - ინდივიდუალური დაცვის საშუალებების არსებობა და მომუშავეთა მიერ მათი გამოყენების სისწორე;
 - სამუშაო სივრცის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა;
 - დასაქმებულთა სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების შესრულება;

- შრომის უსაფრთხოების თვალსაჩინო ნიშნები არსებობა და მათი მდგომარეობა.

ყოველკვარტლური კონტროლისას გამოვლენილი ნაკლოვანებები დაფიქსირდება შესაბამის დასკვნაში, აღნიშნული დასკვნის საფუძველზე განისაზღვრება გასატარებელი ღონისძიებები, მათი შემსრულებლები და შესრულების ვადები. შემოწმებისას გამოვლენილი ისეთი დარღვევების/ხარვეზების შემთხვევაში, რომლებმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს პერსონალის ჯანმრთელობას ან გამოიწვიოს ავარია, მუშაობა წყდება ამ დარღვევების აღმოფხვრამდე. (OSHA , PROTECTING ROOFING WORKERS)

თანამედროვე სტანდარტებით სამშენებლო კომპანიებს უნდა ქონდეთ შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების ერთწლიანი გეგმა - კომპანია ქმნის ერთწლიან გეგმას, რომელსაც ამტკიცებს დირექტორი (იხ დანართი 3). საკანონმდებლო რეგულაციების, ექსპერტების რეკომენდაციების, უსაფრთხოების კუთხით არსებული პრაქტიკის გაანალიზების საფუძველზე, კომპანია პერიოდულად განახორციელებს წინამდებარე შრომის უსაფრთხოების გეგმის მოდიფიკაციას.

ცხრილი # 4. შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები

N	ღონისძიების დასახელება	პასუხისმგებელი პირი
1	შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომზადების შესაბამის კურსებზე გაგზავნა	დირექტორი
2	საამქროს ყველა თანამშრომელისათვის საერთო	შრომის უსაფრთხოების მენეჯერი

	<p>ტრენინგის ჩატარება შემდეგ თემატიკაში:</p> <p>ა) შრომის უსაფრთხოების სამართლებრივ საკითხები და უსაფრთხო შრომის პრინციპები;</p> <p>ბ) სახანძრო უსაფრთხოება, საგანგებო სიტუაციები, საევაკუაციო ღონისძიებები.</p>	
3	<p>ყველა აუცილებელი ტრენინგი უნდა გაიწეროს თარიღებისა და პასუხისმგებელი პირების მითითებით</p>	
4	<p>საწარმოწ ყველა თანამშრომელისათვის სპეციფიური სამუშაო პროცედურებისა და აღჭურვილობის გამოყენების ინსტრუქტაჟების ჩატარება</p>	მთავარი ინჟინერი
5	<p>საამქროში სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის შემოწმება.</p>	დირექტორი
6	<p>წარმოებაში ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების რეგისტრაციისთან და მოკვლევასთან დაკავშირებული შესაბამისი ჟურნალისა და ფორმების მომზადება.</p>	შრომის უსაფრთხოების მენეჯერი
7	<p>საწარმოში დამატებითი</p>	შრომის უსაფრთხოების

	გამაფრთხილებელი განთავსება	ნიშნების	მენეჯერი
8	საწარმოს	თანამშრომლებისათვის	დირექტორი
	სამედიცინო შემოწმების	ჩატარება	
9	საწარმოს	თანამშრომლების უბედურ	დირექტორი
	შემთხვევაზე დაზღვევა		
1 0	საწარმოში შრომის	უსაფრთხოების	დირექტორი
	აუდიტის	ჩატარება	
1 1	პერსონალისთვის	სახანძრო	შრომის უსაფრთხოების
	უსაფრთხოების სწავლების	ჩატარება	მენეჯერი
1 2	საწარმოში რისკების დონის კიდევ	უფრო შემცირების მიზნით,	
	დამატებითი ღონიძიებების გეგმის	შემუშავება (გადამზადება,	
	ინსტრუქციების განახლება,	დამატებითი მექანიზმები,	
	აღჭურვილობა და სხვა)		

1.5 პრობლემების აღმოფხვრის გზები

როგორც მოგახსენეთ, კომპანიების მზაობა და მონდომება მაქსიმალურად აირიდონ უბედური შემთხვევა, ხელი შეუწყოს საშიშ საწარმოო ფაქტორებისგან მუშაკების დაცვას, თავიდან აიცილოს საწარმოო ტრამვები, შეუძლოდ ყოფნის, დაავადებები და ფატალური შედეგები

დიდია. გამოკითხული კომპანიების უმრავლესობა ცდილობს უზრუნველყოს უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის მართვის სისტემების ელემენტების ინტეგრირება, როგორც პოლიტიკური და მმართველობითი ღონისძიების შრემადგენელი ნაწილი. კომპანიებს გაშვებული ყავდა ან ახლა ყავს უსაფრთხოების მენეჯერები გადამზადებაზე. დაინტერესებულნი არიან, რომ ყავდეთ კვალიფიციური კადრები. მაგრამ პრობლემები მაინც არის. მტავარ პრობლემას წარმოადგენს დასაქმებულთა მენტალობის გაზრდა და მზაობა უსაფრთხოების ნორმების დასაცავად. სამშენებლო ობიექტზე დასაქმებულები ხშირად ამბობენ უარს უსაფრთხოების ზომების გატარებაზე, არ იხურავენ ჩაფხუტს, არ იყენებენ სიმაღლეზე მუშაობისას ქამრებს, პირბადეებს, რესპირატორებს, ხმის დამხშობებს და ა.შ.

ჩვენი აზრით პრობლემის აღმოსაფხვრელად აუცილებელია დასაქმებულებს მივაწოდოთ ინფორმაცია რისკების შესახებ და ასევე ინფორმაცია თუ როგორ იცავენ შრომის უსაფრთხოების ნორმებს მსოფლიოს წამყვანი სამშენებლო კომპანიები. ამ მიზნით დავინტერესდით როგორ იცავს უსაფრთხოების მკაცრი ნორმებით მსოფლიოში ცნობილი ბრიტანული კომპანია “*ბრიტიშ პეტროლიუმი*” საკუთარი მუშახელის უსაფრთხოებას სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას.

“პირველივე დღეს მოგვცეს ე.წ. სეიფთი ბათინკი, რომელსაც რკინის ცხვირი ჰქონდა, ქვის დაცემის შემთხვევაში რომ დაეცვა, ჩაფხუტი, სათვალე, ხელთათმანები, სათვალე და კომბინიზონი, მთელი ტანი დაფარული უნდა გვექონოდა. ამ ყველაფრის გარეშე არ გვიშვებდნენ სამუშაო ადგილზე. უსაფრთხოების ოფიცრები ჩვენთან ერთად იყვნენ და მუდმივად გვაკონტროლებდნენ. მიწის სატკეპნი ან ექსკავატორები თუ მუშაობდა, ხმის დამხშობები უნდა გაგვეკეთებინა, ცემენტზე მუშაობის დროს კი პირბადეები”- ამბობს მერაბი, რომელიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის ფარგლებში, ერთ-ერთი კოტეჯის მშენებლობაზე ბი-პის მიერ დაქირავებულ კომპანია

“ფერიში” მუშაობდა. სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების ორი ოფიცერი იყო, ერთი კომპანია “ფერის”, მეორე- “ზრითიშ პეტროლიუმის”. ასევე, იყო ექიმის ოთახი, სადაც ყოველ დილით ალკოტექსტს იტარებდნენ. სამედიცინო ყუთის გარეშე კი ობიექტზე არცერთი მანქანა არ დაიშვებოდა- “უსაფრთხოების ოფიცერი თვეში ერთხელ ან ორჯერ გვიკითხავდა ინსტრუქციებს- როგორ უნდა მოვექცეულიყავით ამა თუ იმ სიტუაციაში. რეპეტიციებს გავდიოდით, პირველადი დახმარება როგორ უნდა აღმოგვეჩინა, მაგ. თუ ვიღაც წაიქცა და ხელი ან ფეხი მოიტეხა, როგორ უნდა მიგვეყვანა ის ექიმის ოთახამდე. “ოქროს წესები” აქვს ბი-პის და ეს ყველას ძალიან გვიხაროდა. კილოგრამებზე იყო ლიმიტი, 18 კგ-ზე მეტის აწევის უფლება არ გვქონდა. საათში ერთხელ შეგვეძლო 10 წუთი შეგვესვენა, შრომის “უსაფრთხოების ოფიცრები” გვეუბნებოდნენ: დაისვენეთ, დინჯად იმუშავეთ, ჯანმრთელობას გაუფრთხილდითო. გადასავარდნი ან ორმო სადაც იყო, შემოვლობავდით, წითელ-ყვითლად ვღებავდით, რომ ვინმე არ ჩავარდნილიყო. ნისლიანი ამინდის დროს კი საერთოდ არ გვამუშავებდნენ.”

[\(http://isoms.ge/post/188/%E1%83%9B%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%96%E1%83%94-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9E%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A8%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90\)](http://isoms.ge/post/188/%E1%83%9B%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%96%E1%83%94-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9E%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A8%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90))

ჩვენი გამოკითხული სამშენებლო კომპანიების უმრავლესობა ამბობს რომ პრობლემები არის. მუშახელი უარს ამბობს ჩაფხუტისა და

უსაფრთხოების აღჭურვილობის ტარებაზე, არ იკეთებს სიმაღლეზე მუშაობისას ქამრებს და ა.შ. თუმცა რამოდენიმე კომპანიამ შეძლო ჯარიმების დაწესების გზით მინიმუმამდე დაეყვანა დასაქმებულთა დაუმორჩილებლობა.

„იყო პერიოდი როდესაც დასაქმებული ჩაფხუტს იხურავდა მხოლოდ მაშინ, როდესაც სამშენებლო ობიექტზე გამოჩნდებოდა ხელმძღვანელი პირი. გავზარდეთ ჯარიმები რამაც შედეგი გამოიღო, თუმცა პრობლემა 100 % ით მოგვარებული ჯერ კიდევ არ არის“, -ამბობს სამშენებლო კომპანიის პროექტების მენეჯერი.

ვაგრძელებთ მუშაობას, რათა მივაღწიოთ ჩვენი ოპერაციების შესაბამისობას OMS-ის მოთხოვნებთან და ამ მიზნით ვატარებთ თვითკონტროლის ღონისძიებებს, რომელთა მეშვეობით ვაკონტროლებთ თითოეული მოთხოვნის შესრულების მხრივ არსებულ მდგომარეობას.

ჩვენ მივმართავთ გეგმაზომიერ ქმედებებს, რათა შევინარჩუნოთ სტანდარტებთან შესაბამისობა რისკების დონეების შემცირებისა და ჩვენი მუშაობის ხარისხის ამაღლების მიზნით.

უცვლელი რჩება ჩვენი ვალდებულება – თავიდან ავიცილოთ უბედური შემთხვევები, დავიცვათ ადამიანების უსაფრთხოება და გავუფრთხილდეთ გარემოს.

ინდივიდუალური უსაფრთხოების გარდა, ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ ჩვენი საოპერაციო სისტემების და პროცესების მთლიანობის შენარჩუნებას სწორი სამშენებლო პრინციპების, საინჟინრო, საექსპლუატაციო და ტექნიკური მომსახურების პრაქტიკის პროცესის უსაფრთხოების დანერგვით.

ჩვენ განვსაზღვრეთ პროცესის უსაფრთხოების ძირითად რისკებს ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვებისას და ვთხოვთ თანამშრომლებს

შეგვატყობინონ პროცესის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტები.

ჩვენ გვაქვს პროცესის უსაფრთხოების სხვადასხვა ასპექტის ამსახველი რამდენიმე ყოველთვიური დასკვნა როგორცაა საოპერაციო რისკების შეფასება და დასკვნები სტანდარტულ საოპერაციო პროცედურებთან შესაბამისობის და მუშაობის უსაფრთხო სისტემების შესახებ.

მენეჯერების ყოველთვიურ შეხვედრებზე, რომლებსაც უძღვებიან საინჟინრო და ტექნიკური სპეციალისტები, ჩვენ ვიხილავთ მთავარი პროცესის უსაფრთხოების და მთლიანობის მართვის განხორციელების ინდიკატორებს. ბევრი მათგანი „წამყვანი“ ინდიკატორია, რომლებიც მიუთითებს ჩვენი კონტროლის სიძლიერეზე.

ჩვენ ვაწარმოებთ მცირე გაჟონვის ან დაღვრის შემთხვევების ამსახველ ანგარიშგებას, ჩანაწერებს და მონიტორინგს, რათა გავაუმჯობესოთ ჩვენი მუშაობა და ყველა ღონე ვიხმაროთ მაქსიმალურად შევამციროთ შესაძლო სერიოზული ინციდენტების რისკი. ჩვენ ვიყენებთ ამერიკის ნავთობის ინსტიტუტის (API) სტანდარტს პროცესის უსაფრთხოების.

ჩვენ ვიძიებთ თითოეულ ინციდენტს, რათა გამოვავლინოთ მათი გამომწვევი ფაქტორები და მიზეზები იმისათვის, რომ მივიღოთ სათანადო ზომები მომავალში მათ აღსაკვეთად და მაქსიმალურად შევამციროთ შესაძლო ნეგატიური შედეგები.

ჩვენ კვლავ მოვუწოდებთ ჩვენს თანამშრომლებსა და ჩვენს კონტრაქტორებს, რომ განაცხადონ ყველა შესაძლო ინციდენტის შესახებ გარდა ამისა, ჩვენ ყოველთვიურად ვაანალიზებთ მომხდარ ინციდენტებს და კვარტალში ერთხელ ვამზადებთ ტენდენციის ამსახველ ანგარიშებს, რომელთა მომზადებაში ჩართული არიან ექსპლუატაციის, ტექნიკური მომსახურების, პროექტების, საინჟინრო, ჯანმრთელობის, შრომის

უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის (HSE) განყოფილებების სპეციალისტები.

ჩვენ ვაანალიზებთ უშუალო და სისტემურ მიზეზებს, გამოვავლენთ პრობლემურ არეებს, ვათანხმებთ და ვახორციელებთ გამოსასწორებელ ღონისძიებებს.

ჩვენ ვაგრძელებთ თანამშრომლებისა და კონტრაქტორების ცნობიერების ამაღლებას მიღებული გამოცდილებისა და უსაფრთხოების ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა პოტენციურად სერიოზული შედეგების მქონე ინციდენტებთან, გველებთან, სითბოსთან, სიცივესთან, ყინულთან, ცეცხლთან, მოცურებასთან, ფეხის წამოკვრასა და დავარდნასთან, თითების დაზიანებასთან, ბარიერებთან, სიმძიმის აწევასთან, ბუნებრივ რადიოაქტიურ ნივთიერებებთან, უსაფრთხო მართვასთან და ნახშირბადის მონოქსიდის გაჟონვასთან დაკავშირებული რისკები.

კრიზისული სიტუაციებისა და ბიზნესის უწყვეტობის უზრუნველყოფის სისტემის მართვის დაგეგმვა ძალიან მნიშვნელოვანია, თუ ჩვენ ორიენტირებული ვართ უზრუნველყოფით ჩვენი თანამშრომლების უსაფრთხოება, ეფექტიანად გავუმკლავდეთ საგანგებო სიტუაციებს და თავი ავარიდოთ შესაძლო სერიოზულ დარღვევებს.

რეგულარულ მონიტორინგთან ერთად, ჩვენ აგრეთვე ვმუშაობთ პოტენციური კრიზისული სიტუაციების და ბიზნესის უწყვეტობის რისკების გამოვლენის მიმართულებით და ვაწყობთ რეგულარულ წვრთნებს ჩვენი ჯგუფების მზადყოფნის შესამოწმებლად.

ჩვენ მუდმივად ვზრუნავთ კრიზისული სიტუაციების და ბიზნესის უწყვეტობის მართვის საკითხების, ნავთობის დაღვრაზე რეაგირებასა და ხანძარსა წინააღმდეგო შესაძლებლობების გაუმჯობესებაზე. ეს ყველაფერი კი მოითხოვს მკაფიოდ ჩამოყალიბებულ ორგანიზაციას და გეგმებს, კარგი

ხარისხის რეაგირების რესურსებს და მაღალ დონეზე მომზადებულ პერსონალს.https://www.bp.com/ka_ge/georgia/home/community/-0.html

1.6 შრომის უსაფრთხოების მკონტროლებელი ორგანიზაციები

შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობის შემოღებასა და გამკაცრებასთან ერთად ბაზარზე გამოჩნდა კომპანიები, რომლებიც სამშენებლო კომპანიებს სთავაზობენ შრომის უსაფრთხოების მონიტორინგს და იმ ღონისძიებების გატარებაც რაც უზრუნველყოფს უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნას. ჩვენ მოვიკვლიეთ რამოდენიმე მათგანი რათა დაგვედგინა რამდენად სრულყოფილია მათი მომსახურება და გადაჭრის თუ არა ზემოხსენებულ პრობლემებს ასეტი კომპანიების არსებობა. განვიხილოთ რამოდენიმე მატაგანი:

საფკო - 12 წლიანი საერთაშორისო გამოცდილებით ჯანმრთელობის დაცვის და შრომის უსაფრთხოების სფეროში. ამბობენ რომ არიან საქმის პროფესიონალები და ფლობენ შესაბამისი კვალიფიკაციის ჯანმრთელობის დაცვის და შრომის უსაფრთხოების საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებსა და მოთხოვნებში. მათი კლიენტები არიან სხვადასხვა ინდუსტრიის წარმომადგენლები, მათ შორის: სამშენებლო, საწარმოო, ფაბრიკა-ქარხნები, პორტები, სასტუმროები, სასწავლო დაწესებულებები და ასე შემდეგ. ფლობენ მაღლესი ხარისხის ჯანმრთელობის დაცვის და შრომის უსაფრთხოების საერთაშორისოდ ავტორიზებულ სერტიფიკატებს, როგორებიც არიან:

National Examination Board in Occupational Safety and Health (NEBOSH), IOSH (institution of Safety and Health), OHSAS 18001; ISO 19011 Lead Auditor; NFPA (National Fire Protection Administration) BOHS (British Occupational Hygiene Society); Control of Work Systems. მათი მიზანია წამოადგინონ, დანერგონ და განავითარონ ამერიკული და ბრიტანული (OSHA, BSC) შრომის უსაფრთხოების სტანდარტები, დაეხმარონ ადგილობრივ ბიზნესებს უსაფრთხოების კულტურის დანერგვაში და განვითარებაში, მაღალი სტანდარტების მიღწევაში და მათ შენარჩუნებაში.

საფკოს პროექტებია:

- გრინჰილ რეზიდენსის მშენებლობის პროცესის შრომის უსაფრთხოების ზედამხედველობას. ჩვენი სერტიფიცირებული და კვალიფიციური წარმომადგენელი მიმაგრებულია სამშენებლო პროცესზე და უზრუნველყოფს სამუშაოების უსაფრთხო წარმართვას.
- საფკო ანხორციელებს შრომის უსაფრთხოების კონსულტაციას და მართვის სისტემების დანერგვას თბილისში ამჟამად მიმდინარე ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ და მნიშვნელოვან პროექტზე - "პანორამა თბილისი." ჩვენი წარმომადგენლები უზრუნველყოფენ პროექტის პროცედურულ და დოკუმენტალურ გამართულობას, ყოველდღიურ ზედამხედველობას, ტრენინგების და ინსტრუქტაჟების ჩატარებას, რისკების შეფასებისა და ინციდენტების ანგარიშგების / მოკვლევის პროცესის მართვას და ა.შ.
- საფკო ჩართულია ენგურის ტურისტული ცენტრის პროექტის დიზაინის შემუშავების პროცესში. კერძოდ, ჩვენი ჯგუფის წევრები სახანძრო უსაფრთხოების დარგში კონსულტაციას უწევენ ესტონურ არქიტექტორულ კომპანიას - KOKO Architects - რომელიც პასუხისმგებელია ენგურის ტურისტული ცენტრის არქიტექტორული პროექტის შემუშავებაზე. ჩვენი კონსულტანტები ინტენსიურად მუშაობენ ესტონელ კოლეგებთან ერთად, აცნობენ მათ საქართველოში მოქმედ რელევანტურ კანონმდებლობას, ამოწმებენ სახანძრო უსაფრთხოების სისტემების ნახაზებს და უზრუნველყოფენ, რომ დიზაინი შეესაბამებოდეს საქართველოსა და საერთაშორისო სტანდარტებს.

- ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და საამაყო პროექტი გახლავთ კომპანია „ინ-სი“- სთან თანამშრომლობა და თბილისის განვითარების ფონდის მიერ წარმოებულ რამდენიმე უმნიშვნელოვანეს სამშენებლო და სარეაბილიტაციო პროექტში ჩართულობა. კომპანია „ინ-სი“ არის საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი სამშენებლო კომპანია, რომელიც სხვა არსებულ პროექტებთან ერთად აქტიურად იღებს მონაწილეობას თბილისის ისტორიული უბნების სარეაბილიტაციო სამუშაოებში. მათი მენეჯმენტის ქვეშაა ისეთი ობიექტები, როგორცაა „პანორამა თბილისი,“ გუდიაშვილის მოედნის რეაბილიტაცია, ათონელის ქუჩის რეაბილიტაცია, მერსედესის ცენტრის მშენებლობა და ა.შ.
- კომპანია „საფკო“ რეგულარულად ატარებს ტრენინგს სიმაღლეზე უსაფრთხო მუშაობასა და მასთან ასოცირებული დამცავი საშუალებების შესახებ. ეს ტრენინგი განსაკუთრებულად აქტუალურია სამშენებლო და სამრეწველო ინდუსტრიებში, სადაც ხშირია სიმაღლეზე წარმოებულ სამუშაოები და შესაბამისად მომატებულია რისკები. ერთ-ერთი ასეთი სესია ჩატარდა ლუდსახარშ „Global Beer Georgia“-ში, რომელიც აქტიურად ცდილობს კომპანიაში შრომის უსაფრთხოების სტანდარტების გაუმჯობესებას და საერთაშორისო სერთიფიცირების მოპოვებას.

(safco.ge)

HSE service group - მრავალწლიანი საერთაშორისო გამოცდილებით სთავაზობს კლიენტებს შრომის უსაფრთხოების მენეჯმენტს. ამბობენ რომ მათი პარტნიორების თანამშრომლების შრომის უსაფრთხოება დაცულია და თავად კომპანიებს გარანტირებული აქვთ შეფერხებებისა და სანქციების გარეშე

ოპერირება. საქმიანობის ყველა ასპექტში მუშაობენ საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების საფუძველზე გამოცდილი და კვალიფიციური კადრებით.

- მრავალწლიანი საერთაშორისო გამოცდილება
- წამყვანი პოზიცია ბაზარზე
- 40-მდე პარტნიორი კომპანია
- რეგიონის წამყვან პროექტებში მონაწილეობა

HSE service group-ს მომსახურების რამოდენიმე პაკეტი აქვს.

მომსახურება დეპარტამენტი გულისხმობს: კომპანიაში შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტის ჩამოყალიბებას, ობიექტზე კვალიფიციური კადრს სრული განაკვეთით (რეგისტრაცია მერიაში), შრომის უსაფრთხოების გეგმის შედგენას, სახანძრო უსაფრთხოების გეგმის შედგენას, საევაკუაციო გეგმის შედგენას, სამუშაო პროცესის სრულ კონტროლს, ტექნიკური უსაფრთხოების კონტროლს, შრომის უსაფრთხოების დოკუმენტაციის შექმნას, დოკუმენტაციის დანერგვას, დოკუმენტაციის მუდმივი წარმოებას და კონტროლს, რეკომენდაციების შესრულების ვადებისა და შესრულებული სამუშაოების ხარისხის კონტროლს, ინსტრუქტაჟის ჩატარებას თვეში ერთხელ, შიდა საჯარიმო სისტემის შემუშავებას, რეპორტირებს.

სრული მომსახურება გულისხმობს ობიექტზე კვალიფიციური კადრს სრული განაკვეთით (რეგისტრაცია მერიაში), შრომის უსაფრთხოების გეგმის შედგენას, სახანძრო უსაფრთხოების გეგმის შედგენას, საევაკუაციო გეგმის შედგენას, სამუშაო პროცესის სრულ კონტროლს, ტექნიკური უსაფრთხოების კონტროლს, შრომის უსაფრთხოების დოკუმენტაციის შექმნას, დოკუმენტაციის დანერგვას, დოკუმენტაციის მუდმივი წარმოებას და კონტროლს, რეკომენდაციების შესრულების ვადებისა და შესრულებული სამუშაოების ხარისხის კონტროლს, ინსტრუქტაჟის ჩატარებას თვეში ერთხელ, შიდა საჯარიმო სისტემის შემუშავებას, რეპორტირებს.

სერვისი კონსულტაცია გულისხმობს ობიექტზე სამ დღეში ერთხელ კვალიფიციური კადრის ყოფნას, რეკომენდაცია შრომის უსაფრთხოების გეგმის შედგენასთან დაკავშირებით, რეკომენდაცია სახანძრო უსაფრთხოების გეგმის შედგენასთან დაკავშირებით, რეკომენდაცია საევაკუაციო გეგმის შედგენასთან დაკავშირებით, რეკომენდაცია ტექნიკური უსაფრთხოების კონტროლთან დაკავშირებით, რეკომენდაცია შრომის უსაფრთხოების დოკუმენტაციის შექმნასთან დაკავშირებით, რეკომენდაცია დოკუმენტაციის მუდმივი წარმოებასთან დაკავშირებით და კონტროლი, რეკომენდაციების შესრულების ვადებისა და შესრულებული სამუშაოების ხარისხის კონტროლი. ინსტრუქტაჟის ჩატარება თვეში ერთხელ შიდა საჯარიმო სისტემის შემუშავება, რეპორტირება.

პაკეტი პრემიუმი ობიექტზე კვალიფიციური კადრი სრული განაკვეთით (რეგისტრაცია მერიაში), შრომის უსაფრთხოების გეგმის შედგენა, სახანძრო უსაფრთხოების გეგმის შედგენა, საევაკუაციო გეგმის შედგენა, სამუშაო პროცესის სრული კონტროლი, ტექნიკური უსაფრთხოების კონტროლი, შრომის უსაფრთხოების დოკუმენტაციის შექმნა, დოკუმენტაციის დანერგვა, დოკუმენტაციის მუდმივი წარმოება და კონტროლი, რეკომენდაციების შესრულების ვადებისა და შესრულებული სამუშაოების ხარისხის კონტროლი, ინსტრუქტაჟის ჩატარება თვეში ერთხელ, შიდა საჯარიმო სისტემის შემუშავება, რეპორტირება, ობიექტის კოლექტიური დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფა. (<http://hseservicegroup.com/>)

თავი 2. კვლევის მეთოდოლოგია

სამშენებლო სექტორში კანონმდებლობის გამკაცრების მშენებლობის ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენის კვლევის პროცესში გამოყენებული იქნა კვლევის რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდები. კვლევისთვის საინტერესო ძირითადი საკითხების შესწავლისათვის რაოდენობრივი კვლევის მეთოდის შერჩევა განპირობებული იყო საკვლევი საკითხების შესახებ სტატისტიკურად სანდო ინფორმაციის მოგროვების საჭიროებით, ხოლო თვისობრივი მეთოდის გამოყენებით განხორციელდა კონკრეტული სამშენებლო კომპანიების ქეისების შესწავლა მათ წარმომადგენლებთან ინტერვიუების გზით. გარდა ამისა, კვლევის პროცესში გამოყენებულია მეორადინფორმაციის წყაროები, კერძოდ არსებული საკანონმდებლო ნორმატიული მასალები, სამეცნიერო სტატიები და სხვადასხვა ინტერნეტ რესურსები.

კვლევის საწყის ეტაპზე განხორციელდა მშენებლობის მარეგულირებელი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის შესწავლა, კერძოდ მოძიებული იქნა არსებული მარეგულირებელი დოკუმენტები და მოხდა მათი ანალიზი, განსაკუთრებით ყურადღება გამახვილდა შრომის უსაფრთხოების წესების შესწავლაზე. მომდევნო ეტაპზე შესწავლილი იქნა მათი მიზეზ-სედეგობრივი კავშირები მშენებლობის ფინანსურ მდგომარეობასთან და ის სტატისტიკური მასალები რომლებიც ასახევენ სამშენებლო სექტორის ფინანსურ მდგომარეობა. კვლევისთვის საინტერესო ძირითადი საკითხების შესწავლისათვის ზემოაღნიშნული კვლევის მეთოდების შერჩევა განპირობებული იყო საკვლევი საკითხების შესახებ სტატისტიკურად სანდო ინფორმაციის მოგროვების საჭიროებით. კვლევის სამიზნე აუდიტორიის საკვლევად ზემოაღნიშნული კვლევის ტექნიკა შეირჩა რამდენიმე მიზეზის გამო. პირველი ის რომ სამშენებლო კომპანიები იყვნენ ხელმისაწვდომები კვლევის მიზენბისთვის და მეორე, არსებობს გარკვეული სტატისტიკური მასალები რომლებიც ასევე ხელმისაწვდომია და ასახევენ სამშენებლო სექტორის მდგომარეობას.

კვლევი ბოლო ეტაპზე განხორციელდა მოძიებული მასალების კრიტიკული ანალიზი და სინთეზი, რის შედეგადაც ჩამოვყალიბეთ გარკვეული დასკვნები.

თავი 3. შედეგები და მათი განსჯა

ნაშრომში განხილულია სახელმწიფოს მიერ გამკაცრებული კანონი მშენებლობის ნებართვის აღებასთან დაკავშირებით, თუ როგორ აისახა ქვეყნის ბიუჯეტზე და საბანკო რეგულაციების გავლენა გაყიდვებთან დაკავშირებით. ასევე პრობლემა გვაქვს სამშენებლო ობიექტებზე უსაფრთხოების წესების დარღვევასთან დაკავშირებით რაც ხშირად სავალალო შედეგით, გარდაცვალებით დასრულდა. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად სახელმწიფომ შეიმუშავა კანონი და დააწესა ფულადი ჯარიმები.

შრომის უსაფრთხოების კანონის შემოღების შემდეგ ბაზარზე კომპანიების რიცხვმა, რომლებიც გვთავაზობენ ზემოხსენებულ მომსახურებას საგრძნობლად იმატა. კონკურენციის ზრდასთან ერთად მატულობს მომსახურების ხარისხიც რაც ვფირობთ საგრძნობლად გააუმჯობესებს უსაფრთხო სამუშაო გარემოს ქვეყანაში. მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა ნაკლოვანებები მაინც არის, სამწუხაროდ სამშენებლო ობიექტებზე სიკვდილიანობის რიცხვიც დიდია. სამშენებლო სექტორში, როგორც ფორმალურად, ასევე არაფორმალურად დასაქმებულები მრავალი პრობლემის წინაშე დგანან. თავად დასაქმებულთათვის, ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა დაბალი ანაზღაურებაა, თუმცა, ძალზე მწვავედ დგას შრომის უსაფრთხოების საკითხები, რაზეც მიანიშნებს ქვეყანაში არსებული მძიმე სტატისტიკა მშენებლობაზე დაღუპულთა და დაშავებულთა შესახებ. როგორც აღმოჩნდა, ხშირად, სამუშაო ადგილზე მომხდარი საწარმოო შემთხვევები განპირობებულია არამხოლოდ უსაფრთხოების ნორმების დაცულობით, არამედ ანაზღაურების არსებული ფორმითა და არანორმალური ფორმით: გასამრჯელოს გაცემა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწრაფად დაასრულებს საქმეს დასაქმებული, რის გამოც, მუშები სამუშაოს

სწრაფად დასრულების მიზნით ვერ უფრთხილდებიან, ერთის მხრივ, საკუთარ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, მეორეს მხრივ კი, სათანადოდ ვერ იცავენ თავად მშენებლობის უსაფრთხოების ნორმებს. გარდა ამისა, შრომით კანონმდებლობასა და ამ დოკუმენტით განსაზღვრულ უფლებებზე სათანადო ინფორმაციას არ ცნობენ არც დასაქმებულები, არც დამსაქმებლები.

სამშენებლო სექტორში დასაქმებულები, რომლებიც ყოველდღიურ ფიზიკურ სამუშაოს ასრულებენ, ერთ-ერთი ყველაზე დაუცველი და მოწყვლადი ჯგუფია დასაქმებულთა შორის, არაფორმალურად დასაქმებულთა შემთხვევაში კი ვითარება უფრო მძიმეა, რადგან მათ წართმეული აქვთ ლეგალური სტანდარტებით განმტკიცებული ისეთი საშუალებების გამოყენების უფლება, როგორცაა, გაფიცვა, პროფესიულ კავშირში გაწევრიანება, შვებულებისა და ბიულეტენების გამოყენების უფლება და სხვანი, რადგან მათ არ აქვთ საფუძველი სამართლებრივი დავის წარმოშობისა და წარმოებისთვის. ამასთან, არაფორმალური დასაქმება პრობლემატურია სახელმწიფოსთვის, რადგან ის კარგავს თანხებს საშემოსავლო გადასახადის სახით და ჰყავს დასაქმებულთა ჯგუფი, რომელიც არ ფიქსირდება ოფიციალურ სტატისტიკაში, არ ხდება მათი აღრიცხვა. გამომდინარე იქიდან, რომ სამშენებლო სექტორი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მზარდი და მსხვილი სექტორია, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ოფიციალური სტატისტიკის მიღმა, დასაქმებულთა საკმაოდ სოლიდური მასა ექცევა. მიუხედავად იმისა, რომ არაფორმალური დასაქმება სამშენებლო სექტორში შესაძლოა დიდ მასშტაბებს აღწევდეს, სახელმწიფოს ჩართულობა დასაქმებულთა პრობლემების მოგვარების მიმართულებით საჭიროა განხორციელდეს თანაბრად როგორც ფორმალურად, ასევე არაფორმალურად დასაქმებულთათვის. მას შემდეგ, რაც იარსებებს დაცული, მდგრადი, სტაბილური ფორმალური შრომის ბაზარი სამშენებლო სექტორში,

დასაქმებულთა სოციალური დაცულობის დონე გაიზრდება. მოსალოდნელია, რომ გაიზრდება თავად დასაქმებულთა მიერ შრომითი ურთიერთობის ფორმალიზების მოთხოვნაც, რადგან არსებული მოცემულობით სამშენებლო სექტორში ფორმალურად და არაფორმალურად დასაქმებულთა შრომით პირობებს შორის ძალიან მცირე სხვაობაა. გარდა ამისა, აუცილებელია, რომ სახელმწიფო ორგანოებს ჰქონდეთ წარმოდგენა არა მხოლოდ სამშენებლო, არამედ ყველა სექტორში არაფორმალური დასაქმების მასშტაბების შესახებ. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი, შემუშავდეს პოლიტიკა არაფორმალური სექტორის შემცირების მიმართულებით. იმისთვის, რომ მოხდეს არაფორმალური დასაქმების ზომის გამორკვევა, საჭიროა განხორციელდეს არაფორმალური დასაქმების კვლევა. აღნიშნული კვლევა ხორციელდება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO) ფლობს არაფორმალური დასაქმების კვლევის აპრობირებულ მეთოდებს, რაც შესაძლოა გამოყენებულ იქნას საქართველოს შემთხვევაშიც. აუცილებელია მოხდეს ქმედითი და ეფექტური შრომის ინსპექციის ფორმირება საქართველოში. შრომის ინსპექციას უნდა გააჩნდეს ნებისმიერი სამშენებლო კომპანიის სამუშაო პროცესზე ინსპექტირებისა და სანქციონების მექანიზმები, რაც აუცილებელი პირობაა პრობლემის ძირეული აღმოფხვრისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მძიმე სტატისტიკა, რაც არსებობს სამშენებლო მოედნებზე დაღუპულთა და დაშავებულთა მიმართულებით, შესაძლოა მეტად გაიზარდოს, სამშენებლო სექტორის ზრდის ტემპების გათვალისწინებით. ასევე, აუცილებელია, შრომის ინსპექციას შეეძლოს დასაქმებულთა შრომითი უფლებების დაცულობის მონიტორინგი, რათა ყველა დასაქმებულმა შეძლოს შრომის კოდექსით განსაზღვრული უფლებების რეალიზება, არ იმუშავოს აუნაზღაურებელი ზეგანაკვეთური საათებით, მიიღოს კუთვნილი შვებულება და სხვა სოციალური სიკეთეები. გარდა ამისა, სასურველია მეტად დაიხვეწოს კანონმდებლობა, რომელიც

სამშენებლო უსაფრთხოებასა და მშენებლობის პროცესის სხვა, საზოგადოებრივი თუ კულტურული ნორმების დაცვისადმი დაქვემდებარების უზრუნველყოფას გულისხმობს, განხორციელდეს ცვლილებები კანონში მშენებლობის შესახებ, ასევე გაფართოვდეს ზედამხედველობითი ორგანოების უფლებამოსილებები, თუმცა, თუ აქაც, შრომის ინსპექციის მსგავსად, არ იქნება აღსრულების ეფექტური მექანიზმები, მდგომარეობა არ გაუმჯობესდება. მნიშვნელოვანია დასაქმებულთა გაერთიანებებისა და მათ ინტერესებზე ორიენტირებული ორგანიზაციების როლიც. აუცილებელია, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა მეტი ძალისხმევა მიმართონ მშენებლობის სექტორში დასაქმებულთა საკუთარ რიგებში გაწევრიანების, შრომით უფლებებზე მათი ინფორმირების კუთხით, ასევე აწარმოონ კვლევები სამშენებლო სექტორის სპეციფიკისა და მასში დასაქმებულთა სამუშაო პირობების აღწერისა და შეფასების მხრივ, რადგან სამშენებლო სექტორი, ერთ-ერთი ყველაზე შეუსწავლელი სფეროა ამ მხრივ. დასაქმებულთა ინფორმირების საქმეში მნიშვნელოვანია, აქტიურად იყოს ჩართული შრომის ინსპექციაც. საჭიროა შრომის ინსპექციის მიერ საკომუნიკაციო აქტივობების დაგეგმვა დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლების კუთხით მათი შრომითი უფლებების შესახებ.

დასკვნა და რეკომენდაციები

დასასრულს, დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ ქვეყანაში დასაქმებულთა უფლებრივი მდგომარეობა, შრომის პირობები და უსაფრთხოება სამუშაო ადგილებზე, საქართველოსათვის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა. მიუხედავად უკანასკნელ წლებში განხორციელებული რიგი საკანონმდებლო თუ სტრუქტურული ცვლილებებისა, დასაქმებულთა უფლებრივი მდგომარეობა, საშუალო ანაზღაურება და შრომითი უსაფრთხოება იდეალური ჯერ კიდევ არ არის და დახვეწას საჭიროებს. კვლევის ფარგლებში გამოკითხული დეველოპერები / სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლები იზიარებენ იმ მოსაზრებას, რომ მშენებლობაზე სრულყოფილად არ არის დაცული უსაფრთხოების ნორმები, ამის მიზეზს კი დასაქმებული პერსონალის ცნობიერებასა და მენტალიტეტში ხედავენ. რაც შეეხება კონტროლის მექანიზმს, მათი ხედვით, უნდა არსებობდეს კონტროლის რამდენიმე საფეხურიანი მექანიზმი. პირველ ეტაპზე, მაკონტროლებელი უნდა ამოწმებდეს უსაფრთხოების ნორმების დაცვის ფაქტს და დარღვევის აღმოჩენის შემთვევაში, აძლევდეს კომპანიას გონივრულ ვადას პრობლემის აღმოსაფხვრელად, თუ აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ არ იქნება გამოსწორებული დარღვევა, მეორე ეტაპზე უნდა იყოს დაწესებული ჯარიმა, და მესამე ეტაპი უნდა გულისხმობდეს საქმიანობის უფლების შეჩერებას პრობლემის აღმოფხვრამდე. დასაქმებულთა ინფორმირების საქმეში მნიშვნელოვანია, აქტიურად იყოს ჩართული შრომის ინსპექციაც. საჭიროა შრომის ინსპექციის მიერ საკომუნიკაციო აქტივობების დაგეგმვა დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლების კუთხით მათი შრომითი უფლებების შესახებ.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ მშენებლობის სექტორმა განვითარების მრავალი საფეხური განვლო და დღეისათვის, მიუხედავად ზემოხსენებული

ნაკლოვანებებისა საკმაოდ მაღალ საფეხურზე იმყოფება. შესაბამისად გვაქვს საფუძვლიანი ვარაუდი იმისა, რომ მცირე ხნის შემდეგ, აღნიშნულ ინდუსტრიის მართვაში დახვეწილი და ზომიერი რეგულაციების შემოღების პირობებში მშენებლობის დარგი საქართველოში ევროპის განვითარებული ქვეყნების დონეზე იქნება

გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი/ბიბლიოგრაფია

1. დამხმარე სახელმძღვანელო სიმაღლეზე უსაფრთხო მუშაობისათვის- ს/ს „თელასი“, თბილისი 2007 წელი
2. უსაფრთხოების (შრომის დაცვის) წესები ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას -ვ.მეგრელიძე. ა.სიხარულიძე, გ.გიორგაძე, თბილისი 2006 წელი.
3. დამხმარე სახელმძღვანელო სახანძრო უსაფრთხოებაზე - ს/ს თელასი 2007 წელი.
4. გ. ცინცაძე, მშენებლობის მენეჯმენტი, 2009 წ;
5. მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ, 2019;
6. როგორ მივიღოთ მშენებლობის ნებართვა (გზამკვლევი), 2019;
7. OSHA , PROTECTING ROOFING WORKERS
8. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4103880?publication=4>
9. <https://emc.org.ge/ka/products/shromis-usaftrkhoebis-mimdinare-reformis-naklovanebebi>
10. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4103880?publication=4>
11. <https://gipa.ge/geo/program/show/shromis-usaftrkheoba-da-garemosdatsviti-teqnologiebi>
12. <http://oshe.ge/>
13. <http://gtuc.ge/%E1%83%A8%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0/>
14. <http://safco.ge/open/>

15. Geostat.ge
16. <http://hse-servicegroup.com/>
17. <http://safety.org.ge/page/5>